ეროვნული ბიბლიოთეკა




**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## სამშობლო

მეათე საუკუნისა

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის სავალობო ნიშნების ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი

(10—0—1)


## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 18, ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთიდგან მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის ელჩი ასადუზა-ხანი-ნაზიმ-უდ-დოულე, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ სპარსეთის კონსული რიზა-ხანი, პოლიცი-მეისტრის მოადგილე და სხვ. ელჩი კონსულთან ჩამოხდა და ამ დღეებში გაემგზავრება სტამბოლში მის უდიდებულესობის ოსმალეთის სულთანის სანახავად, რომელსაც გადასცემს სპარსეთის შაჰის წერილს ქურთების შესახებ, რომელნიც სპარსეთში გადასულან და კიდევ გადადიან გასაძარცვად. ამასთანავე ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ სპარსეთის შაჰი „ინფლუენციით“ ყოფილა ავად და ეხლა-კი სრულიად მორჩენილა ამ სენისაგან.

*** სანამ ცხენის რკინის გზის ბელგიელთა საზოგადოება თვის ნებაზე ჰმოქმედებდა, ვაგონებს იმდენს ამუშავებდნენ, რამდენიც უნდოდათ, ხოლო ხალხი ხშირად ისე გაიჭედებოდა, რომ ტევა აღარსად იყო.

პოლიციამ აღუკრძალა 24 კაცზედ მეტი ერთ ვაგონში ჩაესხათ და ამას შემდეგ შემოსავალმაც იკლო, რასაკვირველია. გაზ. „კავკაზ“-ი ანგარიშობს, რომ წინად კვირა-უქმე დღეებში დღეში ას-ათ თუმნამდე შემოსავალი ჰქონდათ ბელგიელთა და ეხლა-კი იკლო ამ შემოსავალმა, რის გამოც ბელგიელები იძულებულნი გახდნენ ვაგონების რიცხვი მოემატებინათო.

*** გუშინდელის რიცხვიდამ, ვიდრე შეიცვლებოდეს, ქალაქის გამგეობამ თანახმად კომისიის დადგენილობისა, ახალი ნიხრი დააწესა ხორცისა: ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა გირვანქა 7 კაპეიკი, სუკი—12 კაპ., ცხვრის ხორცი—7 კ.

*** ერთხელვე რომ ჩაჰკიდეს ხელი ჩვენს „მუშტაიდს“, რაღა შველა მიეცემოდა მომავალში. დრო იყო, როცა ქალაქს ადვილად შეეძლო ამ ბაღის დაპატრონება, მაგრამ ქალაქმა ჯერ ყური არ ათხოვა და მერე, თუმცა მოინდომა, მაგრამ გვიან იყო და ერთად-ერთი საუკეთესო ბაღი ქალაქისა დღეს თითქმის გაშენებულია. თუმცა, მართალია, ბაღში სიარულს ხალხს არ უშლიან, მაგრამ დარწმუნებული ვართ, შორს არაა ის დრო, როცა ამასაც მოვესწრობით, იმიტომ-რომ თუ ბაღი სამეცნიერო გამოსაკვლევ ადგილად გადაიქცევა, ხალხის სეირნობასაც მოსპობენ.

ჩვენ გვეგონა, რომ აკმარებდნენ „მუშტაიდს“ იმას, რაც აქამომდე დაჰმართეს. მაგრამ არა.

„ნოვ. ობოზრ.“ იუწყება, რომ შემოდგომაზე კიდევ მთელი ნაჭერი უნდა ჩამოსჭრან ამ ბაღს და კიდევ ერთი შენობა ააგონო. როდის ექნება ბოლო შენობების აგებას ბაღში—ღმერთმა უწყის, ხოლო ეს-კი მართალია, რომ ყოველ შენობის აგების დროს დიდ-ძალი ადგილი უნდა ამოიკაფოს და მშვენიერი ხეები მოიჭრას ამ ბაღში.

*** ორი დღეა, რაც გამოცხადდა, მარიამობისთვის პირველ რიცხვებში ანტონ რუბინშტეინი კონცერტს გამართავს ჩვენს ქალაქშიო, და დღეს თითქმის აღარ არის ამ კონცერტის ბილეთები. ლანკოს სამუსიკო მაღაზიას იმდენი ხალხი აწყდებოდა ამ ორ დღეში, ბილეთების ამღების მსურველნი, რომ ძლივს ასწრებდნენ მაღაზიის გამგებელნი ბილეთების დარიგებას. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ამ კონცერტის ბილეთები ერთი-ორად ჰღირს და მსურველნი ბ-ნ რუბინშტეინის მოსმენისა გაცილებით კიდევ მეტია, იმათთან შედარებით, რომელნიც კონცერტის დღეს დაესწრებიან საოპერო თეატრში.

დიდად სასიხარულო და მასთან სასიამოვნოც იქნებოდა, რომ ბ-ნი რუბინშტეინი ერთს კონცერტს არ გვაკმარებდეს.

*** „ქართულ წიგნების მბეჭდავ საზოგადოება“-ს უკვე შეუძენია ალექსანდრეს ბაღში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ კუთხეში რომ გ. ყორღანოვის პატარა ქვის შენობაა და ამ დღეებშივე შეუდგებიან იმის გადაკეთებას. როგორც ამას წინად ვსთქვით, აქ „ამხანაგობა“-ს უნდა წიგნის ვაჭრობა და ჟურნალ-გაზეთების სამკითხველო მოათავსოს. როგორც შევიტყეთ, ეს საქმე ერთ თთვეზედ დასრულდება კიდეც.

*** სოფ. სურვალეთი. (გორის მაზრა). ავაზაკთა მომაცობამ და შიშის ზარმა, რომელიც ამათ დასცეს ჩვენს მხარეს, ფრთები შეასხა შინაურს ქურდბაცაცეებს, რომელნიც ხელებს ითბობენ ყოველ შემთხვევაზედ. ამ დღეებში ჩვენს მხარეში გაჰქურდეს ზაქ. მამაცაშვილი, რომელსაც მთელი სამზარეულოს ავეჯეულობა გამოულაგეს.

*** სახელოსნო სასწავლებელში მომხდარ ამბავს კიდევ ის შედეგი მოჰყოლია, რომ სასწავლებლის მთავრობას გამოურიცხავს რამდენიმე მოსწავლე. ამ ამბავს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ გვაცნობებს, მაგრამ არ აცხადებს-კი, რამდენი შეგირდია გამორიცხული სკოლიდგან.

*** ეჩმიაწინიდგან ჩამოსულა სომეხთ ენისა და ისტორიის მცოდნე ახალგაზდა ფრანგი-მეცნიერი ბ-ნი მეიე, რომელიც თთვე ნახევარი ეჩმიაწინის წიგნთ-საცავში სომხურ ძველ ხელთ-ნაწერებს სწავლობდა. გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ ამბობს, რომ ამ დღეებში ბ-ნი მეიე მიემგზავრება პარიჟს, სადაც უმაღლეს სასწავლებლის „Ecol des Hautes Etudes“ პროფესორად არის დანიშნულიო.

*** თავ. ვ. გ—ძის მაჩაბლის საჩივარი თავ. გ.—ძის ორბელიანის შესახებ გარჩეულ იქმნება ტფილისის ოლქის სასამართლოში ენკენისთვის 18 („ნოვ. ობოზრ).

*** ოთხშაბათს რკინის გზით გაემგზავრნენ ბაქოში ცხრა გადმოსახლებული ოჯახი ხარკოვის გუბერნიიდგან, რომელთაც ცუდის მოსავლისა გამო გაუყიდნიათ მიწები და საქონელი და მიემგზავრებიან იმიერ კასპიის მხარეს, სადაც აპირებენ ალიაგის თხოვნას.

*** „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, რომ საფოსტო უწყებას განუზრახავს, ქალაქებში კორესპონდენციები სამთვლიან ველოსიპედით დაატარონ. ამას გარდა ჩვენს ქალაქში ტელე-

## ფელეტონი

### ფარვანა და სანთელი

კუნჭულში დაფიქრებული
იჯდა ფარვანა. ბნელოდა.
სწუხდა და თრთოდა, რაღაცას
გულის ფანცქალით ელოდდა.
ვნახოთ, სანთელი აბჟუტდა,
ნათელმა გაიკაშკაშა:
ამასაც გული გაეხსნა,
ახტა და გაითამაშა.
ახლო მივიდა და ირგვლივ
ათასჯერ შემოუარა,
მაგრამ ვერ გაძლა, კოცნისა
ლიღარმა წამოუარა.
აკოცა, მაგრამ თავადაც
ალზედ დაიწვა, შხიოდა;
ვერცა რა სანთელმა არგო,
თუმცა ცრემლები სდიოდა!
სხვას-კი არავის დაჰნანდა,
არცა ვის გული სტკიოდა,—
მე-კი ვნახე და შემბრალდა
პეპელა დანაცრებული.
ძნელია ახალგაზდობა
ტრფობის ცეცხლ-მოკიდებული,
როცა ხელთ აღარც ჰქვა-ღა აქვს,
არც გული ახირებული,
და აწვევინებს ერთურთსა
ხდომა თავ-გატაცებული;
სირცხვილ-ნამუსზედ ორზედვე
ბრმულად თავ-გადადებული.

1891 წ. ბაჩანა

### სარკით მოტყუება

ძველს დროს

ასატურა ალალოვი, თორმეტის წლისა რომ შეიქნა, თავისმა მამამ, თელავის მოქალაქე კოლიამ, ორის თუმნის ხამხალათი ჩაულაგა ბოღჩაში, ვირს აუკიდა და უთხრა:

„— აი, ამას გაძლევ, წადი სოფლებში, ეხლა კალოობა არის და პურზედ გაასაღე; შენი თანხა ეს არის და ახლა შენ იცი, როგორ მოგების შნოსაც გამოიჩენ“.

ასატურამ გაჰსწია სოფლებისაკენ, მიჰყო ვაჭრობას ხელი. ხამხალათი რომ გაასაღა, სადაც იაფ რასმე შეაგულებდა, იყიდდა და მერე ძვირად გაჰყიდდა ხოლმე. ცოტაოდენის ხნის შემდეგ ახალი დაწურული ტკბილიც ჩაფი აბაზად დაიკვეთა, ღვინოდ დააყენა და ისე ერთი-ორად და სამად მოიგო. სად თხლე და ჰაჰა იყიდა, გამოჰხადა და არაყი გაჰყიდა, სად პური და სიმინდი ახალში შეაგროვა და გაზაფხულზედ გლეხობას, რომ შემოაკლდათ, ერთ ნახევრად გაასესხა. ამ გვარ ვაჭრობით შვიდი წელიწადი იარებოდა, ამ დროს მამაც მოუკვდა და ნათესაობამ აღარ მოუსვენა,—„ახლა-კი ბინას მოეკიდე და ცოლი შეირთეო“. ესეც დათანხმდა და უთხოვეს ჯანჯალ ხუნგუას ქალი ტატალუა, რომელსაც მზითევში ორმოცი თუმანი მიჰსცეს. ჯვარი დაიწერა თუ არა, ასატურამ ბაზაზის დუქანი გაალო და დაჯდა. ფულებს ასესხებდა და დიდ-ძალს სარგებელს იღებდა. აღებ-მიცემობით თავადიშვილობაშიაც ფეხი შედგა, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლები გაიკეთა, ზემო ოთახები ქირით მიჰსცა და ქვემოთი თითონ მოიწყო: დიდ ოთახში ცალ მხარეს გრძელი ტახტი დადგა; ხალიჩებს ზემოდამ ვიწრო გრძელი ლეიბი გაშალეს, თავსა და ბოლოს მუთაქები დაალაგეს, მეორე მხარეს ერთი სტოლი და რამდენიმე სკამები ჩაუმწკრივეს. ტატალუა ყოველს წელიწადს შვილოსნობდა, მაგრამ არა რჩებოდათ. როდესაც შუა ხანში შევიდნენ, მაშინ ერთი ქალი და ორი ვაჟი ძლივს შერჩათ.

ერთს დილას ტატალუა იჯდა ტახტზედ მოკეცილი და ზონარსა ჰქსოვდა; ასატურამ ტანთ ჩაიცვა ქართული მაუდის ჩოხა, ზემოდგან სარტყელი შემოიბორბლა სქელს მუცელზედ და მაღალი ქუდი დაიხურა, ქოშების პრაკა-პრუკით შესვლა-გასვლა დაიწყო და მერე ცოლს უთხრა:

— ტატალო-ჯან! აბა, ახლა-კი ბაზარში ჩავდივარ და სადამოსათვის რა ჰემეები გიყიდო?

— ერთი დღე თუ ყაირათი გავჰსწიეთ, დიდი რამე იქნება, აი?—უპასუხა ცოლმა.

— ქაჯან! შენმა მზემ, ამ მარხვამ მუცელში ძალა წაიღო და კიდევ არაფერი ვსჭამოთ?..

— რატომ არა, კარგი ჯიგარ-მიგარი, ჩახახული, გემრიელი რამეა!..

— იცი, ჩემო ნუგბარო, გუნებაში რა ჩამიდვია? ახალ-ახალი ცოცხალი თევზები, რომ სულ პარტი-პურტყი გაჰქონდეს, მერე არტალ-მარტალა თავის პურტებით, ლაზათიანად დანივრული, რა იქნება?!. იმასთანაც ხოხობი... კუჰისა, შენებურად მჟავით ჩახოხბე და ზედაც თუნგიანი წითელი ღვინო მივაყოლოთ. პაჰ, პაჰ, პა!..

ტატალუამ გაოცებით შეჰხედა.

— მაგთენი რამეები?!. ცეცხლი და გენიამც ჩაგვარდნია მაგ ბედოვლათ მუცელში, ბარემ ეს ოთახებიც შიგ ჩაიდე რაღა!..

— გენაცვალე, რა ვქნა, თევზის ადგილი ხორცს ვერ დაუჭერია, ხორცის ადგილი ხოხობს; ამ ოხერში სუყველას თავ-თავის ადგილი აქვს!..

— ჩაგსქდეს ეგ მუცელი, ჩაგსქდეს, შე-თვალებ ასაფისო, მე ამოტელერთა ჯღანვით ჯანი ჩამოვიცალო და შენ-კი იბედოვლათო?!.

— ქალოჯან, ერთი კვირა ყაირათი, ერთი დღე ქეიფი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონის გამართვასაც უნდათ თურმე შეუდგნენ. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის უწყება მიჰმართავს თურმე ვაჭრობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთ, რომ გამოაცხადონ თავიანთი სურვილი ტელეფონის გამართვის შესახებ. წლიური ფასი ეღირება 100—150 მანეთი. ამ საქმის დაჩქარება იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რამდენი განაცხადებს სურვილს ტელეფონით სარგებლობისას.

*** გორი. ეს არის ეხლა შეგვხვდა პატივცემული მოხუცი თავ. ა. ამირეჯიბი, რომელიც წუხელის სალამოზედ, 15 ივლისს, ჩამოსულა გორში და გვიამბო, რომ ჩამოველ მაზრის უფროსთან, გამოვუცხადო შემდეგი ამბავი: კვირა სალამოს, 14 ივლისს, ჩემს შვილს თავ. ნიკო ამირეჯიბს, რომელიც ცხოვრობს სოფ. აბანოში (გორის მაზრაში, სურამის საბოქაულოში) დაესხნენ ცხრა შეიარაღებული ავაზაკიო. თავ. ნიკო ვაჟკაცად ვარგა. კარების მტვრევა რომ დაუწყიათ, ბ-ნ ამირეჯიბს შიგნიდამ თოფი უსროლნია; ტყვიას კარი გაუხვრეტია, გარედ აივანის იატაკში გაუვლია და შემდეგ კიბის ფიცარი გაუგლეჯნია. მოხვდა თუ არა ავაზაკთაგანს არ ვიცითო, მხოლოდ თოფის ხმაზედ გადაცვივნულან. როგორც ამბობენ, ეს ახალი გუნდი ავაზაკებისა სულ ქართველები (იმერლები) არიანო, ოსი არ ურევიათო. ესეც კიდევ ერთი ახალი დარდი: კვირას ერთს გუნდს მოუღეს ბოლო და მეორემ კვირასვე ამოჰყო თავი.

*** ქართლი. ურწყავებში წელს უხეირო მოსავალია, უდროვო ქვენა ქარმა გამოფშუტა ყანები; სარწყავებში-კი მშვენიერი მოსავალია; ვენახებს ძლიერ ასხია, თუ არა გამოუვარდარა. მართლა უთქვამს პოეტსა: „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა“. ეხლა არა გვეთქმის-რა, მოსავლის დანახვაზე გვიხარიან,უთ ბოლოს, რთვლის დროს სიხარული ცრემლად არ გადაგვექცა.

თუმცა მოსავალი დიდია, მაგრამ პური და ქერი ძალიან დიდს ფასშია; წელს ქართლიდამ სხვა ქვეყნებში ბევრი პური გავაო.

*** გორი. კვირა სალამოს, ამ თთვის 14-ს, შემდეგი დეპეშა მოვიდა ცხინვალიდამ: „ორი ავაზაკთაგანი დავიჭირეთ; თავ. ფალავა ძლიერ დაჭრილია“. ჯერედ გატყობინებთ მოკლედ იმათის დაჭერის ამბავს: ავაზაკების ამხანაგი ფადო სანაყოშვილი ჯავის ხეობაში, სოფ. კოშკას ზემოდამ, მოკლული იპოვეს; ტყვია მარცხნივ ძუძუში ჰქონდა ნაკრავი; შუბლის ტყავი საქოჩრემდის გადამძვრალი; იარაღი აეყარათ სრულიად, მხოლოდ უბეში ოთხი თუმანი დარჩენიყო; სისხლში შესვრილი ფულები ცხინვალის გამომძიებელს აქვს. ფადო მოჰკლეს შემდეგ გუდისის აკლებისა. პარასკევს, 12-ს ივლისს, სალამო ჟამზედ ჯიოშვილი თავისს ამხანაგებით სოფ. გუდისს დაეცა; აქედგან სანაყოშვილი საყვარელთან წასულა და დაბრუნებისას გზაზედ მოკლეს. გაჯავრებული ამხანაგები კვირას დილით სოფ. ჯავას დაეცნენ, ყარაული მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს; ჯავიდგან სოფ. ხვწისაკენ მომავალი გზა შეჰკრეს და თხოულობდნენ მიეცათ მკვლელი ფადოსი! ამ დროს თურმე ბ-ნი ფალავა, დუშეთის მაზრის ჩაფრების უფროსი, და ბ-ნი ჯანბულათოვი, ტფილისის მაზრის ჩაფრების უფროსი, სულ ოთხი კაცით გუდისიდგან ფეხ-და-ფეხ მიჰყვნენ ჯავისაკენ. როდესაც ძლიერ შეაწუხეს ხალხი, მაშინ ერთი მათგანი გაიქცევა და შეატყობინებს ფალავას და ჯანბულათოვსა. ესენი თურმე ვაჟკაცურად გაიფიცნენ, რომ ერთმანეთს არ უღალატონ და მსწრაფლად გამოქანდნენ; დაიჭირეს ადგილი პირისპირ ავაზაკებისა. გაჩნდა საშინელი სროლა. ტატე ჯიოშვილი მარჯვე ალაგას მდგარა, თოფი ვერ მიუყენებიათ. მაშინ გაცოცებულა ურადნიკი ჯანბულათოვი ასე ათს საჟენზედ წინ, საიდამაც გამოჩენილა ავაზაკი; უსროლნია და ერთის თეძოს თავიდამ მეორე გვერდში გავარდა ტყვია და უძრავად დაცემულა ალაგზედ; ამასობაში თოფიც მოშლია და ველარ უსროლნია. აქ ამხანაგები მიჰშველებიან და სროლით დაუცავთ; მაგრამ აქ ბ-ნ ფალავას ტყვიამ დასცა მეორე ავაზაკი სანდრო ხუბულური, რომელმაც თავის მხრივ ფეხში დასჭრა ფალავა. ავაზაკებმა დასტოვეს ტატე და გაიქცნენ; ხუბულურს დაჭრილის ფეხით ერთს ვერსამდის გზა გაერბინა, მაგრამ ბოლოს ეკლო; ამხანაგს ხასიაშვილს აეთრია, მაგრამ ვერ ეზიდნა; ამ დროს გამოუდგნენ და დაიჭირეს ხუბულური; ალექსი ხასიაშვილი-კი გაიქცა; ავიდა იქვე სოფ. კოშკაში და ერთს გლეხს სთხოვა თავშესაფარი, მაგრამ გლეხმა მაშინვე შეიპყრო და ისიც ჯავაში ჩამოიყვანეს თავის დაჭრილს ამხანაგეთან.

გორის მაზრის უფროსი 15 ივლისს დილით წავიდა გორიდამ; 15-ვე მოვიდა ტფილისიდამ ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი ჩაფრებით და მაშინვე გაემგზავრა ცხინვალისაკენ ტფილისის გუბერნატორის განსაკუთრებითის მინდობილობისა გამო.

*** სოფ. მაკვანეთის (გურიაშია). სკოლის მასწავლებელი გვთხოვს გაზეთით მადლობა გადავუხადოთ: ა) ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს, რომელსაც, წინად შეწირულ 900 ოთხკუთხ საჟენ მიწას გარდა, კიდევ შეუწირავს ამ სასწავლებლისათვის 50-მდე ქართული წიგნი და ერთიც მაცხოვრის ხატი და ბ) სოლომონ ჰეიშვილს, რომელსაც ორი მან. შეუწირავს ამავე სასწავლებლისთვის.

*** ივლისის 17, გათენებისას, მოსკოვის ბალკაში ტერ-სააკოვის დუქანში მძინარეს დახლიდარს ყარიბოვს ჯიბიდგან გასაღები მოჰპარა სტავროპოლის მცხოვრებელმა პავლე ჟუდინმა და დახლიდგან 3 მან. და 50 კ. წაიღო. დამნშავე შეიპრეს.

*** ამავე დღეს როზოვის მოედანზე ამუროვის სახლში უეცრად გარდაიცვალა ჯარის კაცად ნამყოფი ანდრია პეტროვი.

—

შეცდომის გასწორება: ბ-ნი ი. მეუნარგია გვთხოვს გავასწოროთ შემდეგი შეცდომა, შეპარული მისგან გამოგზავნილის სამეგრელოს თავად-აზნაურთა სიაში. ამ სიაში, გადამწერის ბრალით გამოტოვებულია გვარები: ჯორჯიკია და ჯაიანი, რომელნიც არიან მოთავსებულნი აზნაურების სიაში.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

კისკასად სწერს სხვის ენაზედ, თა-
ვისაზე რა გინდარად,
ერკემალის რჩოლით ურქენს, ვისაც
არ სცნობს მის მომხმარად;
ზოგჯერ ჰკიცხავს „სხვების ენით“,
ზოგჯერ-კი სჩანს მალინდარად,
ერთს მტერსა ჰკრავს, ასს თავის თავს,
მით არს მარად განამწარად;
ლღვის იგავს თვით გვაგონებს, სხვებს
კი ყველას ჰრაცხავს მცდარად;
იმას ვერ რას ვერ შეასმენს, შოთაც
მისცე წინამძღვარად.

## მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა გურიაში

ამ ხუთის წლის წინად ძალიან დაცემული იყო ჩვენში მეაბრეშუმეობა და შემდეგ სოფლის მასწავლებლების წყალობით წამოდგა ფეხზედ. ამ 7—8 წლის წინად ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ზედამხედველად იყო ბ-ნი პერევოზნიკოვი. აი ამ პატივცემულმა კაცმა მიაქცია ყურადღება ამ საგანს. მოიყვანა მცოდნე კაცი და გამოწერილის თესლიდგან სამაგალითოდ მოიყვანა აბრეშუმი. დაიბარა ჩვენი სოფლის მასწავლებლები, გააცნო აბრეშუმის ჭიის მოვლას, ასწავლა თუთის გამრავლება და სხვანი.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მიჰყვეს ხელი მასწავლებლებმა აბრეშუმის კეთებას და სცდილობდნენ სოფლელებისთვისაც ესწავლებინათ, მაგრამ შენც არ მომიკვდე. პირველს წლებში, მიბაძვის მაგიერ, სოფლელებმა წინააღმდეგობაც-კი გაუწიეს. „ყაზახს დაუწყია დედაბრობა, მიჯდომია იქინეი ორ ბობოლს და უთრაქავს ბჟოლს. რა მისი საქმეა იგი, იმან კარგად ჩეიცვას, კარგად დეიხუროს და რაცხა ორი ანბანი ბალნებს ასწავლოს იგი უკეთესიაო!“ აი ამისთანა სიტყვებს გაიგონებდით მასწავლებლების შესახებ. ზოგი სიტყვასაც არ დასჯერდა და „დანოსსაც“-კი მიჰმართა, როგორ თუ კლასის ოთახში „ბობლების“ „დაჟენა“ გაბედა „უჩიტელმაო“. მაგრამ ამას არ შეუბრთხა მასწავლებლები, მიჰყვეს ხელი წესიერს აღზრდას ჭიებისას და კარგადაც გაიტანეს. ჩქარა დაარწმუნეს ქუდოსნები, რომ ყაჭის მოვლა მარტო მანდილოსანის საქმე არ არის და ეს საქმე არც ვაჟკაცს შეარცხვენსო. უსამართლობა იქნება, რომ ჩვენებურ სოფლის მასწავლებლებში განსაკუთრებითის მადლობით არ მოვიხსენიოთ ბახვის და ნიგოითის მასწავლებლები. იმათის წყალობით დღეს ბახვსა და ნიგოითში სამაგალითოდ მიდის აბრეშუმის საქმე. როგორც ბახვის სასწავლებელს, ისე ნიგოითისას კავკასიის სამეურნეო გამოფენიდგან მეაბრეშუმეობისთვის მოწმობა აქვთ მიცემული. ჩვენ თითონ გვქონდა შემთხვევა ნიგოითის მასწავლებლის შრომის ნაყოფი გვენახა. წარმოიდგინეთ, შედიხართ გლეხს კაცის სახლში, ჰხედავთ მშვენივრად გაკეთებულს თაროებს და, ზედაც გასართებულს სალს ჭიას, რომელთაც რაღაც ბალახის მაგიერ განგებ ნაყიდი ქაღალდი უგიათ. ფარღალალა ფიცრული აკრულია ქაღალდით, კერას ადგილზე ლუმელი დგას. ყველაზე უფრო-კი გაგაკვირვებთ ტერმომეტრი. განცვიფრებულმა იქვე მდგომს შრომაში გართულს მანდილოსანსა ვკითხე, ეგ ტერმომეტრი რად გინდამეთქი?

— ნუ მცდი, ჩემო ნენაი, შენ-კი იცი რა მოსახმარიც არის. მიმიყვანა ტერმომეტრთან ახლოს, მიჩვენა ზედ წმინდა სანთლით დანიშნული ორი ხაზი და მითხრა:

— ამის ქვევით რომ დეიწევს, მაშინ ცეცხლი უნდა მივუმატო და თუ ასცილდა, მაშინ ცეცხლს გამოვუნელებო!..

— მერე ვინ გასწავლა მაგის ხმარება?

— ჩვენი სიმონ უჩიტელი მარტო ბალნებს-კი არ ასწავლის, ჩვენც გვიგდებს ყურს. დალოცა ჩემმა სალოცვთისმშობელმა. მის წყალობით შარშან ამ ოქოქიაში (ქოხში) ხუთის თუმნის აბრეშუმი ვაკეთე.

დღეს გურიაში სამაგალითო ნაბიჯით მიდის მეაბრეშუმეობა. იქნება მოგვესწროს ის დღეც, რომ გურულს მანდილოსნებს ისევ მშვენიერი ნაქარგ-ნაქსოვ-ნაკერები დაეწყოთ, როგორიც იცოდნენ წინად. ამის ნიშნებსაც ვხედავთ და იმედი გვეღვიძება, რომ ბახვის და ხიდისთავის სკოლიდგან ქალიშვილები თავიანთ დობილებში გაავრცელებენ ხელ-საქმეს.

ამ რიგად გავრცელდა ჩვენში მე-

---

ასატურამ გზისაკენ ჰქმნა პირი და ტატალუამ მიმავალს მისძახა:

— აქ მობრუნდი, აქ.

— ჰო, თქვი, ყურს გიგდებ.

— გებნები, ღმერთი არ გაგიწყრეს და მართლა ხარა-ხურა არა იყიდო-რა!..

— კარგი, ბრაზს ნუ მომიყვანდა!..

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, კარებიდგან დაიძახეს:

— ნათლიმამ, შინა ხარ?

ტატალუამ უთხრა ასატურას:

— ქაა! ნახე, ეგ სულხან ბატონიძე არ არის?

— დიახ, მე ვარ მე! მოისმა და შემოვიდა მაღალის ტანის წამოსადეგი ქართულად ჩაცმულ-დახურული შუა ხნის კაცი. ასატურამ მიიწვია: დაბრძანდი, ნათლიჯან!

— მე დასაბრძანებლად არა მცალიან, ნულარ მაწვალებ, ეგ დამბაჩა მომყიდე. იმ დღეს ხუთი თუმანი დააფასეს, მე შვიდ თუმანს მოგცემ, მეტი რა გინდა?

— არა, კნიაზის მზემ, ამ დამბაჩას ვერ გავიღებ. პაპი ჩემის პეპლიას სახსოვარია!..

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, დამითმე!..

— ჩემ შვილზედ ერთი კოკა მირონი მოგიღია და შენი ხათრი არ მექნება? მაგრამ არ შემიძლიან!..

— ასე ტყუილათ კედელზედ რომ ჩამოგიკიდნია, აბა რათ გინდა? მე-კი ხელი შევაჩვიე და მევარჯიშება!..

— რომ ათხოვე, მაშ არ იცოდი, რომ გემოს გაიღებდა!.. ჩუმად ჩასსურჩულა ტატალუამ ქმარს.

— ასატურა არ მოკვდეს, ათასი თუმანი რომ მომცენ, მაშინაც არ გავიღო!..

— აჰა, შვიდ თუმანს ეხლავ დაგითვლი, ვითომ ისე გიჩუქებია!..

— არა, არა, მამი ჩემის ცხონებამ არ შემიძლია;..

აქ ტატალუა ჩაერია ლაპარაკში:

— კარგი, ჰო! ნათლიას ხათრს ნუ გაუტეხ, ფული აიღე: ხომ იცი, ფული ფულს იგებს და ეგ რის მაქნისია!..

— აი, ნათლი დედაც როგორ კარგად გირჩევს!..

— მაგას თავის ყაითნის საქმე გაეგება!..

— რა გაეწყობა, მშვიდობით!..

სულხანი რომ წავიდა, ასატურაც უკან გაჰყვა და ბაზრისკენ გასწია. ტატალუა გულ-მოსული ქმარზედ ჯავრობდა და მერე მეორე ოთახში გაჰსძახა:

— თალიკო! შვილო! აქ გამოდი, აქ!..

შემოვიდა თალიკო, ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი ქალი, ქართულად ჩაცმულ-დახურული. თალიკოს ხელში ყდიანი წიგნი ეჭირა და თან კითხულობდა.

— რა გინდა, დედაჯან!..

— ღმერთმა ნუ გიცის. ადრიან ადრიან ეგ ამოიკითხე, ამან იმას გაარშიყებია, იმან ამას თქო. რამდენ ნაღდ უზალთუნებს მოიგებ, ეს-კი არ ვიცი!..

— რა არის, ღმერთმანი, შენი შიშით წიგნი ხელში ვერ ამიღია, რომ ეგ არა სთქვა. თვალები სულ საკერავში როგორ ჩავითხარო?!.

— მე,სულელმა, რატომ არ ვიცოდი, თავადის კნეინეებში გაზდილი შვილი ხელს არ მომცემდა!.. გენაცვალეთ, ქაა! მოვანათვლინე, განა ვაჩუქე, რომ ველარ დავახწიე ასე გაჯოხებამდის!..

— მოგინდება ლაპარაკი, დედა ჩემო, და ის არის; თქვენ ჩემი ქცევა არ მოგწონთ და მე თქვენი, ახლა?!.

— ქა! ვერა ჰხედავთ ამას? ეხლანდელი ქალები!. ვიჰ, გასქდეს დედამიწა და ჩაგიტანოთ თან!..

— სწორეთ თქვენა გგევართ?!.

— ლაფს არ დავისხავ, თუ ისე არა ვიქ. მოიგებ რასმე, ჰამე, თუ არა-და, წადი, ჰაერმა შეგინახოს!..

— შენი დარდი ვიცი რაც არის: დავჯდე და ზონარი ვქსოვო რაღა? მაგასაც მოესწრობი!..

ტატალუა წამოდგა.

— მე არა მცალიან და აჰა, ეგდოს, ვნახოთ დუქანში რამდენ თოფს ყაითანს მოუზომ!..

სულხანი რომ ასატურას სახლიდგან გავიდა, იმ დროს ამათ მდგმური დიანბეგი ბალკონზედ იჯდა. დაინახა თუ არა სულხანი, დაუძახა. ისიც ავიდა და სხვა ლაპარაკს შორის ისიც უამბო, რომ ასატურას ყიდვით დანბაჩა ვერ დავახწიეო. თუ მაგ ფულებს ფსონისათვის გადასდებ, მაგ დამბაჩის გამოტანას მე მოგიხერხებო, უთხრა დიამბეგმა.

— მიშველე, შენს გაზრდას, ალექსანდრე: გამტანჯა მაგ ულვთომ. ოღონდ მაგის ოხტიდგან მომიყვანე და ფსონის ფულს-კი არა, რაც გინდა, გადამახდევინე!..

— მაშ კარგი, აქ წამოდი!..

მოჰკიდა ხელი, ოთახში შეიყვანა, ჩამოიღო განჯინიდგან ერთი სარკე და უთხრა.

— აი, ამას წინად ჩემ ბიჰს სარკე ვაყიდვინე, მოეტყუებინათ და ეს მიეცათ: რომ ჩავიხედე, ელდა მეცა: მე გავყვითლდი ასე, თუ ეს სარკე მატყუებს მეთქი. მოვიტანე მეორე სარკე, ჩავიხედე, ის ნამდვილ სახეს აჩენდა. ავდექ და შევინახე: ხუმრობით მოვატყუებ ვისმე-მეთქი. მოდი ეხლა ასატურა მოვატყუოთ, წინდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმეობა. კარგი, მაგრამ რატომ მეფუტკრეობა არ უნდა იყოს ესე გავრცელებული. ეს თუმცა ისე ადვილი არ არის, მაგრამ არც ისე ძნელია, თუ ჩვენი სოფლის მასწავლებლები დაუფაცურდნენ. გურული მიმბაძავი ხალხია, აჩვენე მაგალითი და თითონაც უსათუოდ ხელს მოჰკიდებს. სოფლის მასწავლებლები ეცადნენ და შეიძინონ ახალის სისტემის სკები და დაიწყონ მეფუტკრეობა, სრული იმედი გვაქვს, ხალხიც ადრე მიჰბაძავს. ეს ახალის სისტემის სკები დღეს უკვე არის ნიგოითისა, ბახვისა და სურების სკოლებში. ამ სკებისა რომ ხალხს არ მოსწონს კიდეც, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ თვით ამ სტრიქონების დამწერს შეუკვეთა რამდენმამე გლეხმა ლევიცკის სისტემის სკის გაკეთება. ეს შემოგვიკვეთეს იმის შემდეგ, როცა სკოლაში ჰნახეს, თუ რა ადვილი მოსახმარია ეს სკები და რა სარგებლობა მოაქვს. დიდად სასურველია, რომ ჩვენის სოფლის სკოლებიდგან ყოველ წლივ თითო შეგირდი მაინც გაემგზავრებოდეს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში. ჩვენდა სასიხარულოდ, დღეს ამ სკოლაში უკვე სწავლობს ხუთი კაცი (სამმაც კიდევ შარშან დაასრულა სწავლა). აი ამ სკოლიდგან გამოსულები გაავრცელებენ ხალხში მეურნეობას.

არ შეგვიძლია აქვე დიდის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ერთი ამბავიც. სამტრედიაში მოვაჰრეს ბ-ნს იორდანე სიხარულიძეს განუზრახავს სამტრედიაში სამეურნეო სასწავლებლის დაარსება. იმედია, ბ-ნი სიხარულიძე თავისს განზრახვას უქმად არ ჩაატარებს, დაპირებულს, ანუ განზრახულს განახორციელებს კიდეც და ამით ამ წმიდა, საკეთილო მოწადინებას სისრულეში მოიყვანს.

## წერილი რედაქციის მიმართ

იმ პატარა შენიშვნას, რომელიც იყო დაბეჭდილი „ივერიის“ 136 ნომერში, ისე აუღელვებია ბ-ნი დიმიტრი ციციშვილი, რომ თავის წერილში რედაქციის მიმართ მეტად მოუფიქრებლად შეეხო ჩემს პიროვნებას. ჯერ პირველად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არა ვარ დამწერი იმ შენიშვნისა, *) და შემდეგ მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილსაც, რომელშიაც მსურს შევატყობინოთ ჩვენის თეატრების ამბავი ამ ოთხი-ხუთის წლის წინედ.

მე მოვინდომე წარმოდგენის გამართვა სასარგებლოდ ერთის ჩემის ნათესავის ღარიბის სტუდენტისა, რომელიც მოსკოვში სწავლობდა; მოთამაშენიც შევკრიბე და რადგან სცენის გამართვა მე ჩემით ვერ მოვასერხე, იძულებული ვიყავი თავი დამენებებინა. ეს ამბავი გავაგონე ბ-ნს დიმიტრი ციციშვილს, რომელიც იმდროს ქარელის სტანციის უფროსად იყო, და შემომითვალა: შენ მოთამაშეებს ეცადე, მე ვიცი და სცენამაო. მართლაც, დიდად ეცადა, როგორადაც სცენის გამართვას, აგრეთვე ვახშმის მომზადებას, და წარმოდგენამაც მშვენივრად ჩაიარა. ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩა და გვთხოვეს კიდევ გაგვემართა წარმოდგენა. ფული ხარჯს გარდა, 80 მან. დარჩა, ეს ფული მე გადმომეცა, და მეც, მოთავეთა საერთო გარდაწყვეტილებისამებრ, გავგზავნე 30 მ. გორის დედათა პროგიმნაზიისათვის და 50 მან. ზემოხსენებულ სტუდენტისათვის მოსკოვში. ამ ფულის გაგზავნის კვიტანციები ჩემს ხელშია ეხლაც.

სამის კვირის შემდეგ, ესე იგი 16 სექტემბერს, 1886 წ. გავმართეთ მეორე წარმოდგენა უვახშმოდ და ბუფეტით. რა დარჩა ამ მეორე წარმოდგენიდგან, ამისი სხვა მოთავეებმა არა ჰკითხესრა ბ-ნს დიმიტრი ციციშვილს და მე-კი ეს მიპასუხა: რვა თუმნამდინ დარჩა და აბა ფულს რა ვუყოთო; შევეკითხე მეც სხვა მოთავეებსაც, და საერთოდ ყველამ ვსთხოვეთ იასონ დავითის ძეს ციციშვილს, ეკისრა ფულის შენახვა, მაგრამ იმან უარი გვითხრა და ამიტომ ისევ ბ-ნს დიმიტრი ციციშვილს ვსთხოვეთ, რომ ფულიც იმასვე დარჩენოდა, და აგრეთვე ეზრუნა სათეატრო სახლის აშენებისათვის. მეორე წელიწადს კიდევ გავმართეთ წარმოდგენა ვახშმით, და რასაკვირველია ის ფულიც, თუ იყო რამე, დიმიტრი ციციშვილს ჰქონდა, რადგან ბილეთებს თითონ ჰყიდდა, როგორც პირველის ორის წარმოდგენისას, ისე ამ მესამისასაც. მე რომ არც ერთის წარმოდგენაზე არც ერთი ბილეთი არ მქონია გასასყიდათ, ამაზედ მთელი ქარელი დამემოწმება. ანგარიში არც ერთის წარმოდგენისა არ გამოგვიცხადებია, და როგორც მახსოვს, მხოლოდ გაზეთ „Нов Об.“-ი იყო რომელიღაც კორესპონდენტისაგან გავრით მოხსენებული ჩვენის პირველის თეატრის ამბავი, ესე იგი იმ თეატრისა, რომლის შემოსავალი მე გავგზავნე გორსა და მოსკოვს. მესამე წარმოდგენის შემდეგ წერილით მივსწერე ბ-ნს დიმიტრი ციციშვილს, დავბეჭდოთ—მეთქი ანგარიში, მაგრამ საჭიროდ არ დაინახა და მხოლოდ ეს შემომითვალა: შვიდ თუმნამდინ დარჩა, თუმცა ჯერ კარგად არ მიანგარიშნიაო. ამითი გათავდა ჩვენი ანგარიში.

ზემოხსენებულს „ივერიის“ 136 ნომრის შენიშვნის დამწერი ამბობს, რომ თხუთმეტი თუმანი დარჩაო. ეს შეიძლება დამწერს შენიშვნისას თითონ დიმიტრი ციციშვილისაგანაც გაეგონოს, რადგან თითონ დიმიტრიც და ჩვენც ყველანი, ვინც გვკითხავდა შემოსავლის ამბავს, ამ პასუხს ვაძლევდით: მეორე წარმოდგენიდგან რვა თუმნამდინ დარჩა და მესამედგან შვიდ თუმნამდინაო. ბ-ნ დიმიტრი ციციშვილს შეიძლება ესეც აღარ ახსოვდეს, როგორც შარშანდელი ამბავი დაჰვიწყებია და აღარ ახსოვს, წინამძღვარიანთ კარის სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენას ვინა თაობდა და ან ბილეთებს ვინ ჰყიდდა.

თავის წერილში რედაქციის მიმართ დიმიტრი ციციშვილი ამბობს: ჰყიდეს ბილეთები რ. ც—სამ ჭ მისმა ძმამ ლ. ც—მა და ანგარიში-კი არ დაჰბეჭდესო. როცა მე და დიმიტრი ციციშვილი ვთაობდით წარმოდგენების მართვას, ჩემი ძმა ბაქოში იყო სამსახურში სრული სამი წელიწადი და ჩვენი თეატრები თვალითაც არ უნახავს. რაიცა შეეხება შარშანდელს წარმოდგენას წინამძღვარიანთ კარის სკოლის სასარგებლოდ, ეს მე არ ვიცი, ამ წარმოდგენის გამართვაში ჩემი ძმა ლ. ც—ი თითონ მოთავეობდა, თუ ეხმარებოდა მოთავეს. მე მხოლოდ წარმოდგენის დღეს მოვედი ტფილისიდამ შუადღისას მოთავის თხოვნით, ვითამაშე და მეორე დღეს დილის მატარებლით ისევ ტფილისში დავბრუნდი. თუ ჩემი ძმა ლ. ც—ი ერია შარშანდლის წარმოდგენის ბილეთების გასყიდვაში, ბ-ნ დიმ. ციციშვილს შეეძლო ეთქვა: შარშანდელის წარმოდგენის ანგარიში ლ. ც—ს მოვკითხოო. არ მესმის, რაღად მირევს ამ საქმეში, როდესაც თითონ მოთავე შარშანდელის წარმოდგენისაც და ყველა ქარელელებიც იტყვიან, რომ მე არც ბილეთები მინახავს თვალით და არც ის ვიცი, ვინა ჰყიდდა ბილეთებს. კარგად იცის დიმიტრი ციციშვილმა, ვინ იყო მოთავე, და რა მიზეზია, რომ იმაზე არ მიუთითა საზოგადოებას და პირდაპირ ჩემ შესახებ ლაპარაკობს. ჩემის აზრით-კი, არც მე და არც დიმიტრი ციციშვილს, არ შეგვიძლიან სხვაზედ ვსთქვათ რამე, რადგან ჩვენ თითონ დამნაშავენი ვართ საზოგადოების წინაშე, რა-კი ანგარიში არ წარვუდგენია დღემდე, არამც თუ პირველის წარმოდგენისა, არამედ არც უკანასკნელის ორისა. მე სიმართლე ესა მაქვს მხოლოდ, რომ მოთამაშეებს ვკრებდი და შემოსავალ-გასავლისა-კი არა ვიცოდი-რა; ხოლო დიმ. ციციშვილს სწორედ ამ ბილეთების გასყიდვა ჰქონდა მინდობილი: იქნება შემოსავალი წარმოდგენებისა მთლად ხარჯს მოუნდა. რატომ ანგარიშს არ აცხადებს საქვეყნოდ, რომ მით აიცილოს თავიდამ ყოველი მითქმა-მოთქმა და ტყუილ უბრალო საყვედური? მგონი ის უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ბ-ნს დიმიტრი ციციშვილს „ივერიის“ ზემოხსენებულის შენიშვნის პასუხად აეღო და პირ-და-პირ ანგარიში დაებეჭდა მის მოთავეობით გამართულის წარმოდგენებისა, და მოეთხოვნა აგრეთვე, რომ ამა და ამ დროს სხვა წარმოდგენა იყო გამართული წინამძღვარიანთ სკოლის სასარგებლოდ, სხვათა მოთავეობით და, სასურველია იმ წარმოდგენის ანგარიში ვიცოდეთო.

სონა ციციშვილი

*) ვაცხადებთ და ვმოწმობთ რომ ის შენიშვნა ამ წერილის ავტორის დაწერილი არ არის. რედ.

## დეპეშა

17 ივლისს

**პეტერბურგი.** გუშინდელს სადილზედ პეტერგოფის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა მიირთვა სადღეგრძელო რესპუბლიკის პრეზიდენტის კარნოსი და ისურვა საფრანგეთის ფლოტისა და განსაკუთრებით ადმირალ ჟერვეს ესკადრის აღყვავება. მუსიკამ საფრანგეთის საერო საგალობელი დაუკრა.

გაზ. „ნოვოსტი“-ს გაუგონია, რომ შემოდგომის სესსიის დაწყებისათანავე სახელმწიფო საბჭო შეუდგება სამთო მუშათა დებულების პროექტის განხილვას და აგრეთვე იმისას, რომ სამთო უწყებას ვრცელი უფლება მიეცეს სამთო მრეწველთა და იმათ მომუშავეთა შორის წესიერ ურთიერთობის ჩამოგდების საქმეში.

**ომსკი.** გუშინ, ნაშუადღევის 3 საადზედ, მემკვიდრე ცესარევიჩმა ირტიშიდგან მოგზაურობა თვისი განაგრძო.

**კრონშტადი.** დღეს, საღამოს 9 საათზე, საფრანგეთის მენავოსნეთა პატივსაცემლად პეტერბურგის საბჭოს დარბაზში ჩინებული მეჯლისი იყო გამართული. საღამოს მეშვიდე საათზე პეტერბურგში მოვიდა საფრანგეთის გემები: კრეისერები „Surcour“, „Aviso“, „Lance“ და ნაღმის დამტარებელი გემები №№ 128 და 129; ამათთან ერთად მოვიდა ადმირალი ჟერვე, რომელიც სავიზიტოდ მივიდა ზღვათა სამინისტროს მართველთა, პეტერბურგის ქალაქის უფროსთან და ზოგიერთ სხვასთან. სტუმრებს მიეგებნენ: ქალაქის უფროსი, ქალაქის თავი, საბჭოს ხმოსანნი, საფრანგეთის ზღვათა საქმეების წარმომადგენელი ლეიტენანტი ეუალო მეულლითურთ. უთვალავი რიცხვი ხალხისა გაჭედილი იდგა; აივნები, ფანჯრები და სახლის სახურავები მაყურებლებით იყო ავსებული; გემები ბაირაღებით იყო მორთული, გერმანელებისაც-კი. სტუმრებს ეტლები დახვდა, რუსულ „ტროიკად“ შებმული. მეცხრე საათზედ სტუმრები მოვიდნენ საბჭოს დარბაზში; სახლი საფრანგეთისა და რუსეთის საერო ბაირაღებით მორთული იყო. სტუმრებს მიეგება პეტერბურგის ქალაქის თავი.

**მოსკოვი.** მოსკოვიდამ 70 ვერსზედ, ლოპანის სადგურზედ, დღეს სერბიის მთავარს მიეგებნენ: გუბერნატორი და სერბიელთა მონასტრის წინამძღვარი. საღამოს $6^1/_2$ საათზე საიმპერატორო მატარებელი მოუახლოვდა მოსკოვის სადგურს მუსიკის ხმაზედ. მორთულს სადგურზედ მიეგებნენ მთავარს: მისი უდიდებულესობა, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, ჯარების გამგებელი, სამხედრო და სამოქალაქო

---

წინ ექიმი-კი დავარიგოთ, როგორ მოიქცეს და რა სთქვას. დამბაჩა საექიმოში გამოართვას.

სულხანმა სიცილით სარკეში ჩაიხედა და სთქვა:

— მართლა, რა ყვითელ სახეს აჩენს!.. დარწმუნებული ვარ, ასატურა ისეთი ლაჩარია, ამით სწორედ მოტყუვდება!..

სულხანმა და ალექსანდრემ ეს აზრი რომ დააწყეს, ექიმთან წავიდნენ და დაარიგეს! მერმე დაბრუნდნენ ასატურას სახლისაკენ და დაიძახეს:

— აბა, სახლის პატრონო! შინა ხარ?

ასატურას ხმა მოისმა:

— მობრძანდით, ეს არის ბაზრიდგან მოვსულვარ!..

სულხან და ალექსანდრე შევიდნენ თუ არა, ასატურას ერთ ხმად მიატანეს:

— კაცო! ეგ რა ფერი გაძევს? შენ ვინ და ეგ ფერი ვინ: ქინქლილივითა ღუღდი და რა არის შენი ყოფა?!.

სულხანმა ჯიბიდგან ჩუმად სარკე ამოიღო და სტოლზედ დადო.

— აბა, სარკეში ჩაიხედე, რა ფერზედა ხარ: თვალის კაკლებიც-კი გაგყვითლებია!.. უთხრა ალექსანდრემ.

ასატურამ სარკე აიღო და, თავის სახე რომ დაინახა, შეჰღრიალა!..

— ვაა! ვაა!. ეს ჩემ თავს რა ცეცხლია!..

— ჩვენც ეგ არ გვიკვირს!—უთხრა სულხანმა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა გაუტეხელი ვინმე ვარ: კიდევ ბაზარში დავიარებოდი!..

სულხანმა მუთაქა მოუტანა.

— მიწექ, ვის ერიდები!..

— ჰოო, არავის!.

მიწვა და კვნესა დაიწყო!.

— ხომ არა გცივა?—ჰკითხა ალექსანდრემ.

— როგორ არა, მამტვრევს!..

სულხანმა კიდევ სარკე მიაწოდა.

— კარგა ჩაიხედე: როგორცა მგონია, ისე არა ხარ!..

ასატურა დაშტერებით დააცქერდა თავის სახეს.

— ოჰო, ჰო, ჰო! თქვენი მტერი, ჩემი საქმე წასულია!.

ალექსანდრემ განგებ სარკე გამოსტაცა.

— ავად მყოფის სარკეში ყურება არ ვარგა; ეს-ეს არის, აღარ ჩაგახედებ!..

— ვაა! ყმაწვილი, არა ხარ? სარკისა რა ბრალია!..

ამ დროს ამათ ექიმმა გამოიარა. ალექსანდრემ დაუკაკუნა, შეაყენა, და განგებ შინიდგან ლაპარაკი დაუწყო.

— ვინ არის?—იკითხა ასატურამ.

— ექიმია!..

— ექიმი?! კარგ დროს გამოიარა, აბა ერთი დაუძახე, გამსინჯოს: ვნახოთ, ეგ რაღას იტყვის. ქირა ხომ არ უნდა, გზათ მიდის!..

ექიმმა რასაც წამს შემოვიდა, ასატურას შეჰხედა და დაიძახა:

— ეგ რა ფერი გაძევს? ავადა ხარ?

— როგორღაც ხაზ-მუზიანად არის—უპასუხა სულხანმა.

ასატურამ ხელი გაუშვირა.

— ბატონ-ჯან! ერთი მაჯა მინახე!..

ექიმმა ჩაფიქრებით მაჯა გაუსინჯა და მერე საჩქაროდ წამოიძახა:

— რაღაც შეგიჭამია... მოწამლულია!..

ასატურას შიშის ზარი დაეცა.

— რა ვიცი, მარხვა იყო და ბალახ-ბულახს თუ შევაყოლე რამე?!.

— წამალი ამას ძლიერ საჩქაროდ უნდა!.. ამის მორჩენასა და მოურჩენლობაში სულ ორი საათი-ღა მუშაობს!..

— შენი ჭირიმე, ექიმბაშო! ჩემს ცოლ-შვილს წყალში ნუ ჩაჰყრი!.. მერე მე ვიცი და შენმა ჰემემ პატივის ცემამ!

— ნუ გეშინია, რაკი ექიმი შემოგესწრო, იმედი მაქვს, აღარა გიშავსრა!.. ანუგეშა ალექსანდრემ.

სულხანმა კიდევ ხუმრობა დაუწყო:

— ჰაი, შე ლაჩარო! შეგეშინდა განა? ფიქრი არ არის!..

— ვა, თქვენ მაგის მეტს აბა რას მეტყვით?!. ერთი შენ ნათლი დედას გაჰსძახე, მომხედოს!...

— ეხლავ!...

— მე და სულხანს საქმე გვაქვს, მივდივართ და ახლა შენ იცი, როგორც კარგად უწამლებ, მშვიდობით!... გამოემშვიდობა ალექსანდრე ექიმს.

სულხანი და ალექსანდრე რომ გავიდნენ, ექიმმა რეცეპტი დასწერა, სტოლზედ დადო და ასატურას უთხრა:

— წამალი-კი დავჰსწერე, მაგრამ ამის იმედი არა მაქვს: ოციოდე ხელს პირიდგან გასაქმებს და იქნება იმითი შხამი ამოვიდეს, იქნება არა!...

— ვაა! მაშ?!..

— მაშ-და, აქ აფთიაქში მოწამლულის წამალი არ იშოვება, მაგრამ მეკი მაქვს და ძალიან ძვირადაცა ჰღირს!...

— მომარჩენ და შენსას წინ რა უდგას? ნაღდს დაგითვლი!...

— არა, მე სულ სხვას გეუბნები!...

— ბრძანე, ბრძანე, შენი ქეიფია!..

— თუ შენ დამბაჩას მე დამითმობ, მეც იმ წამალს გავიმეტებ!...

— ოჰ, დამბაჩა!... არა, ბატონოჯან, ფული, ფული!...

ბარბარე ჯორჯაძისა

(დასასრული იქნება)

დაწესებულებათა წარჩინებულნი და მრავალი ხალხი. იმ დროს, როცა მთავარი მე-12 გრენადერთ ასტრახანის პოლკისაგან საპატიო ყარაულს ჰხედავდა, მუსიკა სერბიელთა საერო საგალობელს უკრავდა. წარჩინებულ პირთა წარსდგომის დროს ქალაქის თავმა მოახსენა: „მოგილოცავთ თქვენის უდიდებულობის მობრძანებას პირველს სატახტო ქალაქში და გთხოვთ ძველებურის რუსულის ჩვეულებისამებრ ქალაქ მოსკოვისაგან პურმარილი მიიღოთ“. მთავარმა მადლობა გადაუხადა ქალაქის თავს და გენერალ-გუბერნატორთან ერთად სასახლის ეტლში გაემგზავრნენ ივერიის ღვთის მშობლის ხატისაკენ და აქედამ კრემლის სასახლეში, სადაც საოჯახო სადილი იყო გამართული სამის კაცისათვის. მთავარს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ქუჩებში, რომელნიც სერბიელთა და რუსეთის საერო ბაირაღებით იყო მორთული.

**ომსკი.** დღეს, დილის 11 საათზე, ქალაქის მოედანზედ, სახელმწიფო დაწესებულებათა ციხისა და სასწავლებლების ახლოს მემკვიდრე ცესარევიჩისა და მრავალის ხალხის თანადასწრებით, ამაღლების ეკკლესიის საძირკველი ჩაჰყარეს. ვერცხლის ფიცარი შესაბამის ზეწარწერით საკუთარის ხელით დასდო მემკვიდრე ცესარევიჩმა.

**ბუქარა.** აქ მოვიდა სამხრეთ რუსეთიდამ ებრაელთა 16 სახლობა. თავდაპირველად ესენი პალესტინას გადასახლებულან, მაგრამ იქ ვერ მოწყობილან და გადაუწყვეტიათ კასპიის იქითა მხარეს გადასახლება. უზუნ-ადაში მათ გამოუცხადეს, რომ ებრაელებს კასპიის იქითა მხარეში დასახლება აღეკრძალებათ, მაგრამ ნება მისცეს კასპიის იქითა მხრის რკინის გზით წასვლა ბუქარამდე.

**თეირანი.** დღეს სუჯ-ბულაქში, ინგლისის ვიცე-კონსულის თანადასწრებით გამოძიება იყო გრინფილდის ქალის მაჰმადის სჯულზედ მოქცევის შესახებ. რჩევამ სამი საათი გასტანა. გრინფილდის ქალმა გამოაცხადა, რომ მაჰმადის სჯული ჩემის ნებით მივიღეო და ქმარსაც ჩემის ნებით გავყევიო. გაზ. „Daily News“-ის სიტყვით გრინფილდის ქალს უთქვამს: „მე აზიზა მიყვარს და მაჰმადის სჯულისაც ვარო“.

**პარიჟი.** ოფიციალურად გამოცხადებულია სამუნიციპალო რჩევის გადაწყვეტილება, რომელშიაც მოწონებულია სენის დეპარტამენტის პრეფექტის წინადადება შესახებ იმისა, რომ ბ-ნ ვისკოვატოვს მაშინების შენობის გალერეიაში 30 მეტრი ადგილი და მარსის მინდორზედ საცენტრალო შენობა დაეთმოსო, რომ აქ რუსეთის სამიწად-მოქმედო, სამრეწველო, სავაჭრო, საეტნოგრაფიო და სამხატვრო გამოფენა გაიმართოს 1892 წელს. გადაწყვეტილებაში შემდეგი მოსაზრებაა მოხსენებული: „სამუნიციპალო რჩევას ჰსურს დაუმტკიცოს რუსეთის ხალხს ღრმა თანაგრძნობა იმით, რომ ყოველ-გვარის შეღავათით ხელი მოუმართოს გამოფენის გამართვაში, რომლის წარმატებას თანაუგრძნობს“. დილის გაზეთებმა დაჰბეჭდეს ეს გადაწყვეტილება და მოიწონეს ქალაქ შერბურგის მერის მიერ მოქალაქეთა მოწოდება, რომ მარიამობისთვის პირველ რიცხვებში, ე. ი. იმ დღეებში როდესაც მუნიციპალიტეტი „ქონკათი“ უმასპინძლდებოდა რუსეთის კრეისერის „Адмиралъ Корниловъ“-ის მენავოსნეთ და 22 ივლისს (3 მარიამობისთვეს) ხელმწიფე იმპერატრიცას სახელწოდების დღეს ქალაქის სახლები ბაირაღებით მოვრთოთ, რომ ამით სამაგიერო გადავუხადოთ იმ ჩინებულის დახვედრისათვის, რომელიც საფრანგეთის მენავოსნეთა მდ. ნევას ნაპირებზე მიიღეს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 45 | $7^1/_2$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 | $149^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 08 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | $213^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. . . . . | 10 | „ |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . . | „ | 5 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I. | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| „სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა. . . . . . | „ | 40 |
| ანდერძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ. . . . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა . | „ | 60 |
| „დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . | „ | 15 |
| „თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა | 1 | „ |
| „Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა . . . . . . . . | 3 | „ |
| „არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . | „ | 75 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემპელისა, თარგ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით. . . | „ | 80 |
| იგივე უყდო . . . . . . . . . | „ | 60 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით. . . | „ | 70 |
| „შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. . | „ | 20 |
| „ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| „ივანნამ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა. . . | „ | 10 |
| „კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა . . . | „ | 20 |
| „ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა . . . | „ | 40 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიჰმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.


Дозв. ценз. Тифлисъ, 81-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე